

დიდი განმარტებითი ლექსიკონები

“The spirit of nationalism has often proved a driving force in the making of dictionaries. Scholars were quick to recognize that the compilation of a reliable and comprehensive dictionary was one sign of the achievement of their country’s maturity, just as the lack of grammars and dictionaries indicated the dominance of a foreign power or the weakness of a truly national feeling”. Collison

“The patriotic role of the monolingual dictionary may have been one of its major functions”. Zgusta

ლექსიკონების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტიპად განმარტებითი ლექსიკონები გვევლინება. განმარტებითი ლექსიკონების მეშვეობით ხორციელდება ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია – მშობლიური ენის აღწერის, ნორმალიზაციისა და დოკუმენტირების ფუნქცია. XVIII საუკუნიდან მშობლიური ენის აღწერისა და ნორმალიზაციის ფუნქცია იქცა ლექსიკოგრაფიის მთავარ ამოცანად ევროპის ქვეყნებში.

ქრონოლოგიურად, ხშირ შემთხვევაში, განმარტებითი ლექსიკონების შექმნას ორენოვანი ლექსიკონების შედგენა უსწრებდა წინ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან განმარტებითი ლექსიკონების შექმნისათვის საჭიროა შესაბამისი პირობები: უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული წერილობითი ენის განვითარების მაღალი დონე, რაც აუცილებელი პირობაა სიტყვის მნიშვნელობის აღწერისათვის, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თვით მოცემული ენობრივი კოლექტივის საჭიროება ამგვარ ლექსიკონში. განმარტებითი ლექსიკონების შედგენა მეტყველებს მოცემულ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოების სულიერი ცხოვრების განვითარების მაღალ დონეზე, ენობრივი კოლექტივის ლინგვისტურ “სიმწიფეზე”. აღსანიშნავია, რომ მრავალი ენის პირველ განმარტებით ლექსიკონებში დასტურდება რიგი განმარტებებისა, რომლებიც სხვა, უფრო განვითარებული ლიტერატურული ენის საშუალებებითაა შესრულებული (მაგალითად, ევროპული ენების პირველი ლექსიკონები შეიცავს სიტყვების განმარტებებს ლათინურ ენაზე; აზიის, ამერიკის, აფრიკის ხალხთა ლექსიკონებში არის განმარტებები ლიტერატურულ ევროპულ ენებზე).

განმარტებით ლექსიკონებში სიტყვები იმავე ენის სხვა სიტყვების მეშვეობითაა განმარტებული. მაგ.: ინგლისური სიტყვა **heart** ოქსფორდის დიდ განმარტებით ლექსიკონში (Oxford English Dictionary on Historical principles - OED) შემდეგნაირადაა განმარტებული:

The hollow muscular or otherwise contractile organ which, by its dilatation and contraction, keeps up the circulation of the blood in the vascular system of an animal.

ქართული ენის რვატომიანი განმარტებითი ლექსიკონი კი სიტყვა „გულს“ შემდეგნაირად განმარტავს:

„ღრუ კუნთოვანი ორგანო, რომელიც რიტმული შეკუმშვების შედეგად ამოდრავებს სისხლს სისხლის მილებში. ადამიანის გული არის მუშტისოდენა. ნახევრად კონუსური ფორმისა და მოთავსებულია გულმკერდის მარცხენა მხარეზე“.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დიდი განმარტებითი ლექსიკონის შექმნის უპირველესი მიზანია მშობლიური ენის ლექსიკური ფონდის მაქსიმალურად სრულად აღწერა და დოკუმენტირება. ეს პროცესი მრავალ კომპონენტს მოიცავს, რაზეც ნაწილობრივ გვქონდა საუბარი სიტყვა-სტატიის სტრუქტურის შესახებ საუბრისას (ლექცია 2). გამოვყოფთ რამდენიმე კომპონენტს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიდ განმარტებით ლექსიკონებში.

1. ეტიმოლოგია

სიტყვის ეტიმოლოგიის, წარმომავლობის ანალიზს დიდ განმარტებით ლექსიკონებში დიდი ყურადღება ეთმობა. მაგ. სიტყვა heart-ის ეტიმოლოგია OED-ში:

heart [Com. Teut.: OE. *heorte* (Northumb. *hearta*) = OFris. *herte*, *hirte*, OS. *herta* (MLG. *herte*, MDu. *hert(e)*, *hart(e)*, Du. *hart*), OHG. *herza* (MHG. *herze*, Ger. *herz*), ON. *hjarta* (Sw. *hjerta*, Da. *hjerte*), Goth. *hairtō*:—OTeut. **herton-*; orig. a weak neuter, which became in OE. and OFris. a weak fem., in MLG. and MDu. fem. or neuter. Radically related to L. *cor*, *cord-*, Gr. *καρδ-ία*, *καρδ-ία* (also *κῆρ* from *κῆρδ-*); OIr. *críde*, Lith. *szird-is*, OSlav. *srǫdi-tse*, *srǫdi-tse* (Russ. *serd-tse*, Boh. *srd-c*) heart; root *kerd-*, *krd-*.]

OED კვადრატულ ფრჩხილებში უთითებს სიტყვა heart-ის პარალელურ ფორმებს სხვა გერმანიკულ ენებში: ძველ ფრიზულში (OFris. *herte*, *hirte*), ძველ ზემო გერმანულში (OHG. *herza*), ძველ სკანდინავიურში (ON. *hjarta*); შემდეგ წარმოდგენილია heart-ის პარალელური ფორმები ლათინურში (L. *cor*, *cord-*), ბერნულში (Gr. *καρδ-ία*, *καρδ-ία*), ძველ ირლანდიურში (OIr. *críde*), ლიტვურში (Lith. *szird-is*), ძველ სლავურში (OSlav. *srǫdi-tse*, *srǫdi-tse*), რაც მეტყველებს იმაზე, რომ ინგლისური სიტყვა heart არის ინდოევროპული წარმოშობის სიტყვა.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც გვაწვდის ინფორმაციას სიტყვის ეტიმოლოგიაზე. მაგ.: **ჩანთა** [თურქ. ჩანთა]. აღნიშნული ეტიმოლოგიით ირკვევა, რომ ქართული სიტყვა **ჩანთა** თურქული წარმომავლობისაა, ე.ი. თურქული ენიდანაა ქართულ ენაში შემოსული. **თარჯიმანი** [არაბ. თარჯუმან]. ეს ჩანაწერი კი ცხადყოფს, რომ ქართული სიტყვა **თარჯიმანი** არაბული წარმოშობისაა, არაბული ენიდანაა შემოსული ქართულ ენაში.

2. მნიშვნელობები

დიდი განმარტებითი ლექსიკონები მაქსიმალურად სრულად ასახავენ ამა თუ იმ სიტყვის პოლისემიურ მნიშვნელობებს. მაგ. სიტყვა heart-ს OED-ში გამოყოფილი აქვს 50 მნიშვნელობა უამრავი ქვემნიშვნელობებით.

1. The hollow muscular or otherwise contractile organ which, by its dilatation and contraction, keeps up the circulation of the blood in the vascular system of an animal.
2. Considered as the centre of vital functions: the seat of life; the vital part or principle; hence in some phrases = life. *Obs.* or *arch.*
3. *transf.* **a.** The region of the heart; breast, bosom.
4. The stomach. *Obs.* or *dial.* Chiefly in phr. **next the heart**: on an empty stomach, fasting (*obs.* or *dial.*). Cf. Fr. *avoir mal au cœur*: to be sick (bilious).
5. **a.** = **MIND**, in the widest sense, including the functions of feeling, volition, and intellect.

6. The seat of one's inmost thoughts and secret feelings; one's inmost being; the depths of the soul; the soul, the spirit.

7. Intent, will, purpose, inclination, desire. *Obs. exc. in phr. after one's own heart.*

†8. Disposition, temperament, character. *Obs.*

9. a. The seat of the emotions generally; the emotional nature, as distinguished from the intellectual nature placed in the *head*.

10. a. More particularly, The seat of love or affection, as in many fig. phrases: *to give, lose one's heart (to), to have, obtain, gain a person's heart*. Hence = Affection, love, devotion. *near, nearest, one's heart*, close or closest to one's affection.

და სხვა.

ქეგლი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ასე აღწერს სახელზმნის „გამოყვანა“ პოლისემიურ მნიშვნელობებს.

გამოყვანა - სახელი გამოიყვანს ზმნის მოქმედებისა.

1. შიგნიდან გარეთ წამოყვანა. ბიჭები მეორე ცხენის გამოყვანას შეუდგნენ (ნ. ლორთქ.).

2. გადატ. დატოვებინება (რაიმესი); თავის დანებებინება (რაიმესთვის). გამგეობის შემადგენლობიდან წევრის გამოყვანა. სკოლიდან ბავშვის გამოყვანა. ფიგურ. ხალხის სიღარიბიდან გამოყვანა და სწავლა და ცოდნა ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ იმათ უერთმანეთოდ მნიშვნელობა არა აქვთ (ილია).

3. საბრძოლველად, საასპარეზოდ თავის მოყრა; ვინმეს წინააღმდეგ წამოყვანა (ჯარისა, ხალხისა...). ლაშქრის გამოყვანა.

4. გამოტანა (დასკვნისა...), დადგენა. [ამ] საბუთიდან მეორე დასკვნის გამოყვანაც შეიძლება (ილია).

5. გამოსახვა, გამოკვეთა. სახეების (ჩუქურთმების) გამოყვანა (ქვაზე, ხეზე...). – ათანასეს... დაესწავლა ქალაქზე თავისი სახელისა და გვარის გამოყვანა (ე. ნინოშ.).

6. სპეც. ამოხსნა, გამოანგარიშება. [ბიჭს] მეოთხეკლასელთა ამოცანების გამოყვანა შეეძლო (რ. თვარ.).

7. გაყვანა, გაჭრა, გაკეთება, გამართვა, მოწყობა (იქიდან აქეთ). დასრულდა... ერთი კილომეტრის მანძილიდან სასმელი წყლის გამოყვანა («პირველი»). მიმდინარეობს რუსთაველის გამზირიდან [ბიბლიოთეკამდე] გაზის მილების გამოყვანა («თავისუფ.»).

8. გადატ. გაწვრთნა, გამოზრდა, გაწაფვა; დასპეციალება. ხელოსნად გამოყვანა. – შვილის კაცად გამოყვანა უწმინდესი... ვალია მშობლებისა (ილია).

9. გარკვეული წესით, ტექნოლოგიით დამზადება, გაკეთება (შაშხისა...).

3. საილუსტრაციო მასალა

განმარტებით ლექსიკონებში დიდი ყურადღება ეთმობა საილუსტრაციო მასალას, ანუ საილუსტრაციო ფრაზებს, წინადადებებს, რომლებიც ადასტურებენ სიტყვის ამათუ იმ მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებს. საილუსტრაციო მასალა OED-დან სიტყვა heart-ის მნიშვნელობების საილუსტრაციოდ:

1. a. The hollow muscular or otherwise contractile organ which, by its dilatation and contraction, keeps up the circulation of the blood in the vascular system of an animal.

1000 Sax. *Leechd.* III. 42 Gif þin heorte ace. **1175** Lamb. *Hom.* 121 He wes..mid speres orde to þere herte istungen. **1300** K. *Horn* 872 He smot him þureȝ þe herte. **1382** WYCLIF *2 Kings* ix. 24 The arewe is sent out thorȝ his hert. **1440** *Promp. Parv.* 237/2 Hert, ynwarde parte of a beste. **1483** *Cath. Angl.* 177/1 A Harte, cor, cordialis, corculum. **1548** HALL *Chron., Hen. VI*, 183 [He] stacke the erle to ye hart with his dagger. **1548–77** VICARY *Anat.* vii. (1888) 56 The Hart..is the principal of al other members, and the beginning of life. **1607** SHAKES. *Cor. I. i.* 140, I send it through the Riuers of your blood Euen to the Court, the Heart. **1615** CROOKE *Body of Man* 357 The vse of this *Mediastinum* or bound-hedge is first to hold the hart vp suspended. **1664** POWER *Exp. Philos.* 58 Perfect Animals have an incessant motion of their Heart, and Circulation of their Blood. **1812** *Morn. Chron.* in *Examiner* 25 May 336/2 After the body of Bellingham was opened, it was noticed that his heart continued to perform its functions..for four hours. **1841–71** T. R. JONES *Anim. Kingd.* (ed. 4) 556 A heart is present in all the Brachiopoda. **1872** MIVART *Elem. Anat.* i. 4 The Heart..is rhythmically contractible and propulsive. **1887** H. S. CUNNINGHAM *Cæruleans* I. 145 Camilla's heart went pit-a-pat. **1897** M. KINGSLEY *W. Africa* 297, I saw a sight that made my heart stand still. **1822** SHELLEY *Ode to Heaven* 44 Drops which Nature's mighty heart Drives through thinnest veins. **1842** TENNYSON *Locksley Hall* 140 Tho' the deep heart of existence beat for ever like a boy's. **1866** LONGFELLOW *Killed at Ford* i, The heart of honor, the tongue of truth.

9. a. The seat of the emotions generally; the emotional nature, as distinguished from the intellectual nature placed in the *head*.

Beowulf (Z.) 2463 Heortan sorge. **1050** *Byrhtferth's Handboc in Anglia* VIII. 317 Him mæg beon þe glædre his heorte. **1275** *Passion Our Lord* 6 in *O.E. Misc.* 37 Heore heorten weren so colde. **1350** *Leg. Rood* (1871) 88 Vp he rase with hert ful light. **1413** *Pilgr. Sowle* (Caxton) I. iii. (1859) 4 The syght..gladyd moche my harte. **1548** LATIMER *Ploughers* (Arb.) 20 Breakynge their stonie hertes. **1596** SHAKES. *Merch. V.* III. ii. 64 Tell me where is fancie bred, Or in the heart, or in the head. **1600** — *Sonn.* xlvi. 1 Mine eye and heart are at a mortal war How to divide the conquest of thy sight. **1700** DRYDEN tr. *Ovid's Art Love* I. Wks. 18 08 XII. 252 Tears will pierce a heart of adamant. **1735** POPE *Ep. Lady* 250 To raise the Thought, and touch the Heart be thine! **1784** COWPER *Tiroc.* 897 One comfort yet shall cheer thine aged heart. **1824** SCOTT *St. Ronan's* xvi, With zeal honourable to his heart and head. **1867** TROLLOPE *Chron. Barset* II. l. 71 Her heart was too full to speak. **1884** OUIDA *P'cess Napraxine* vi. (1886) 67 In her it was a thirst of the mind, in him it was a hunger of the heart. **1886** H. CONWAY *Living or Dead* II. ix. 193 If the man had a soft place in his heart I felt sure I was finding it.

OED არა მარტო წარმოადგენს ამა თუ იმ მნიშვნელობის საილუსტრაციო ფრაზებსა და წინადადებებს, არამედ უთითებს ციტატის წყაროს (ე.ი. უთითებს რომელი ნაწარმოებიდანაა ამოღებული მოცემული ციტატა) და იმ წელს, რომლითაც თარიღდება ეს ნაწარმოები. წყაროებს შორისაა: ბეოვულფი, ანგლო-საქსური ქრონიკები, უიკლიფი, შექსპირი და სხვა.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის საილუსტრაციო მასალაში ასევე მითითებულია წყაროები: ვაჟა, აკაკი, გოგებაშვილი, ილია, გამსახურდია, კლდიაშვილი და სხვა ავტორები (იხ. ზემოტ სიტყვა-სტატია „გამოყვანა“).

4. სიტყვათა სიმფონია (concordance)

ლექსიკოგრაფიამ მისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე, დიდი ევოლუცია განიცადა. გლოსარიუმები, რომლებიც მხოლოდ რთულ და გაუგებარ სიტყვებს განმარტავდნენ, ჩაანაცვლეს ლექსიკონებმა, რომელთაც ენის მთელი ლექსიკა მოიცვას. იხვეწებოდა ლექსიკონებში სიტყვის მნიშვნელობის აღწერის მეთოდოლოგია. ასე გაჩნდა მხატვრული ლიტერატურიდან ამოკრეფილი საილუსტრაციო ფრაზებისა და წინადადებების კორპუსები, ტექსტური კორპუსები, რომელთაც ლექსიკოგრაფები იყენებდნენ როგორც სიტყვის მნიშვნელობების აღწერისას, ისე მნიშვნელობების ილუსტრირებისას.

განმარტებითი ლექსიკონის შექმნისათვის აუცილებელია სიტყვათა სიმფონიის შექმნა, რაც გულისხმობს ამა თუ იმ სიტყვის კონტექსტების, ანუ საილუსტრაციო ფრაზებისა და წინადადებების ამოკრევას წერილობითი ძეგლებიდან, ლიტერატურული და სამეცნიერო ნაწარმოებებიდან, დიალექტური თუ ზეპირი წყაროებიდან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან. განმარტებითი ლექსიკონების შემდგენლები მოცემული სიტყვის ხმარების პრაქტიკულად ყველა შემთხვევას ანალიზებენ. ესოდენ დიდი მასალის მეცნიერული დამუშავება ლექსიკოგრაფს საშუალებას აძლევს სრულად გააანალიზოს და ლექსიკონში აღნუსხოს სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა, მისი ყველა მნიშვნელობა, ყველა შესიტყვება, ყველა სინტაქსური მოდელი, ყველა ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა.

მაგალითისათვის მოვიყვან რამდენიმე საილუსტრაციო ფრაზას ქართული სიტყვისათვის „გული“:

1. კაკლის გული, თესლის გული
2. თბილისი – საქართველოს გულია
3. გადაეშვა ზღვის გულში
4. გული დაუდო
5. გული გაუტყდა, გული დაეჩაგრა და ა.შ.

თუ არა ეს კონტექსტები, ძნელი იქნებოდა სიტყვა “გულის” იმ მნიშვნელობების გამოყოფა, რომელიცაა:

1. მცენარის შიგნითა რბილი ნაწილი;
2. რისამე ყველაზე მნიშვნელოვანი, მთავარი ადგილი;
3. რისამე შუა / ცენტრალური ადგილი;
4. ყურადღება;
5. გრძნობები, ემოციები და სხვა.

მთელი განმარტებითი ლექსიკონისათვის კი სიმფონიის შექმნა გულისხმობს ანალოგიური სამუშაოს ჩატარებას ენის ყველა სიტყვასთან მიმართებით. ძნელი არ უნდა იყოს სამუშაოთა იმ მასშტაბების წარმოდგენა, რაც განმარტებითი ლექსიკონების შექმნას უძღვის წინ. ასეთი მეცნიერული კვლევების ჩატარება განმარტებით ლექსიკონზე მუშაობისას აუცილებელია იმის გამო, რომ განმარტებითი ლექსიკონების დეფინიციებში აისახოს ენობრივი ნორმის გამოყენების სოციალური გამოცდილება, დაფიქსირდეს ამა თუ იმ ენის მატარებლების კოლექტიური წარმოდგენა სიტყვის მნიშვნელობაზე, განზოგადდეს მრავალი თაობის ცოდნა და გამოცდილება, რაც უკუფენილია ენაში. სწორედ ამგვარი მეთოდით მუშაობის შედეგია ის, რომ განმარტებითი ლექსიკონის ავტორი “თავისი სახელით არ გვესაუბრება”. იგი ერთგვარი შუამავალია საზოგადოებასა – მოცემული ენის კოლექტიურ მატარებელსა და იმ პირს შორის, რომელიც ლექსიკონს მიმართავს ინფორმაციისათვის

ინგლისური ლექსიკოგრაფიის ისტორიაში ერთ-ერთ გამორჩეულ ფიგურად მე-18 საუკუნის ლექსიკოგრაფი სემიუელ ჯონსონი მიიჩნევა, რადგან სწორედ მან დაუდო სათავე ლექსიკონის შედგენისას ვრცელი ტექსტური კორპუსის შექმნასა და გამოყენებას. ჯონსონმა დაამუშავა 500 ლიტერატურული წყარო, საიდანაც 250 000 საილუსტრაციო ფრაზა და წინადადება შეარჩია, თავად ლექსიკონში კი 110 000 საილუსტრაციო ფრაზა შეიტანა.

მე-19 საუკუნეში დიდი ოქსფორდის ლექსიკონის (OED – Oxford English Dictionary on Historical Principles) შემოქმედებითმა გუნდმა ლექსიკონის ცნება უპრეცედენტო სიმაღლემდე აიყვანა და მეცნიერულ ლექსიკოგრაფიას ჩაუყარა მკვიდრი საფუძველი. ამ ლექსიკონისათვის ათმილიონიანი კორპუსი შეიქმნა, რომელმაც 5 000 წყარო და 7 საუკუნე მოიცვა, ხოლო თავად ლექსიკონში ორ მილიონამდე საილუსტრაციო ფრაზა და წინადადება შევიდა.

ასეთი ტექსტური კორპუსი შეიქმნა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისთვისაც, რომელსაც არნოლდ ჩიქობავა ხელმძღვანელობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

ლექსიკოგრაფია ყოველთვის ფეხდაფეხ მიჰყვებოდა და მიჰყვება ენათმეცნიერების თუ სხვა მომიჯნავე დარგების მიღწევებს. ისტორიულ-შედარებითი მეცნიერების მიღწევები აისახა დიდი ოქსფორდის ლექსიკონის ეტიმოლოგიებში, რომელიც თითოეულ სიტყვას აქვს დართული, აგრეთვე ინგლისურ სიტყვათა მნიშვნელობების ისტორიული პრინციპით დალაგებაში. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ელექტრონული კორპუსების განვითარებამ დაუყოვნებელი ასახვა პოვა ლექსიკოგრაფიაში, რომელიც მთლიანად დაეფუძნა ელექტრონული მრავალმილიონიანი კორპუსებიდან ამოღებული და გაანალიზებული მასალის მონაცემებს.

5. ელექტრონული კორპუსები

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, კომპიუტერმა და კომპიუტერიზებული რესურსების შექმნამ გადატრიალება მოახდინა ლექსიკოგრაფიაში. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელი გახდა ლიტერატურული და სხვა ტექსტების ციფრულ ფორმატში გადაყვანა და მრავალმილიონიანი ერთეულების შემცველი ელექტრონული ბაზების შექმნა. ამგვარმა რესურსებმა სრულიად ახალი შესაძლებლობები შექმნეს ენების კვლევისათვის.


„... უკვე მრავლად არის იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ არსებობს მნიშვნელოვანი ენობრივი ფაქტები, რომლებიც არაერთი საუკუნის განმავლობაში ენის კვლევის მიუხედავად, არსად არ არის რეგისტრირებული ... მეორე მხრივ, ენობრივი მოვლენები, რომლებსაც რეგულარულად გვთავაზობენ, როგორც ინგლისური ენის ფუნქციონირების ნორმას, ფაქტობრივი მონაცემებით არასაკმარისად დასტურდება“, წერდა 1985 წელს ჯონ სინკლერი.

იმ ფაქტის აღმოჩენამ, რომ ელექტრონული კორპუსების მეშვეობით ვლინდებოდა ისეთი ენობრივი ფაქტები, რომლებიც ადრე არსად არ იყო დოკუმენტირებული, ან პირიქით, ნორმად მიჩნეული ენობრივი მოდელები დიდი კორპუსების ბაზაზე

სათანადოდ არ დასტურდებოდა, დიდი ინტერესი აღძრა ამგვარი რესურსებისადმი და გამოიწვია თავდაპირველი ელექტრონული კორპუსების არნახული ზრდა. ინგლისური ტექსტის ბირმინჰემის კოლექცია, რომელიც 1980 წლისათვის 20 მილიონ სიტყვას მოიცავდა, 1990 წლისათვის 320 მილიონ სიტყვამდე გაიზარდა.

პირველი კომპიუტერული კორპუსი, ე.წ. ბრაუნის კორპუსი, აშშ-ში შეიქმნა (აშშ, ბრაუნის უნივერსიტეტი). მისი შემქმნელების, კორპუსის ლინგვისტიკის პიონერების ბ. ნელსონ ფრენსისისა და ჰენრი კუჩერას ნაშრომებმა გზა გაუხსნა და მაგალითი მისცა ელექტრონული კორპუსის სხვა შემქმნელებს.

ბრაუნის კორპუსის უშუალო მემკვიდრეა LOB (ლანკასტერ-ოსლო-ბერგენი) კორპუსი – ბრაუნის კორპუსის „ბრიტანული ასლი“, რომლის შექმნის ინიციატივა ეკუთვნის ჯეფრი ლიჩს. ამას მოჰყვა BNC – ბრიტანული ნაციონალური კორპუსი (იხ. სურათი 1), ბრიტანული კორპუსის მაგალითზე შეიქმნა ამერიკული ნაციონალური კორპუსი (ANC), რომელიც ეყრდნობა ლინგვისტური მონაცემების კონსორციუმის (LDC) მასალებს და ა.შ. ინგლისურენოვანი კორპუსების პარალელურად ევროპისა და აზიის მრავალ ენაზე იქმნება სხვადასხვა მოცულობისა და სპეციფიკის კორპუსები.



სურათი 1. ბრიტანული ნაციონალური კორპუსი.

პირველი კომპიუტერული რესურსები ეპოქალური მნიშვნელობის აღმოჩენად იქცა, რამაც განსაზღვრა ელექტრონული კორპუსების სწრაფი განვითარება, მათი ძირითად წყაროებად გამოყენება ლექსიკონების შექმნის პროცესში. მართლაც, თუკი გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ ოქსფორდის დიდი ოცტომიანი ლექსიკონი ათი მილიონი საილუსტრაციო მასალის საფუძველზე შეიქმნა, რომელსაც მთელი ინგლისის მასშტაბით 800 მოხალისე ახარათებდა და რომლის დახარისხებას სარედაქციო გუნდმა თითქმის ათი წელი მოანდომა, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს ის შესაძლებლობები, რასაც მრავალმილიონიანი ელექტრონული კორპუსები უქმნის ლექსიკოგრაფებს.

დღეისათვის უკვე არსებობს მრავალი ენის ნაციონალური კორპუსი, არსებობს პერიოდული გამოცემები (International Journal of Corpus Linguistics; Corpora; Corpus Linguistics and Linguistic Theory). დარგის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კომპიუტერული ლინგვისტიკის ასოციაციამ (ACL).

ერთენოვანი ელექტრონული კორპუსების კვალდაკვალ ჩნდება ორენოვანი ელექტრონული კორპუსები: ტერმინოლოგიური პარალელური ტექსტების კორპუსები (იურიდიული, ტექნიკური, სამედიცინო და სხვა); მხატვრული ლიტერატურის პარალელური კორპუსები - გერმანულ-ინგლისური, ფრანგულ-გერმანული, იტალიურ-ინგლისური, ჩინურ-ინგლისური, ჩინურ-ფრანგული და ა.შ.

6. ელექტრონული კორპუსების გამოყენება განმარტებით ლექსიკონებში

რას ცვლის ქართული განმარტებითი ლექსიკონისათვის კორპუსის გამოყენება?


ზემოთ წარმოდგენილი იყო სიტყვა-სტატია „გამოყვანა“ ქეგლი-დან. ნორვეგიელი მეცნიერის პაულ მოირერის ქართული ენის კორპუსი **GEKKO** (იხ. სურათი 2) რამდენიმე ასეულ მაგალითს გვაწვდის მოცემული სიტყვისათვის.

მაგალითები **GEKKO**-დან

ქვემოთ მოცემულია ყველაზე ტიპური ფრაზები და წინადადებები:

1. წინა ტურშიც სდომებიათ მისი [მოთამაშის] მოედანზე [გამოყვანა](#), მაგრამ განაცხადში შეყვანა ვერ მოუსწრიათ
გამოცდილი სპორტსმენების დახმარებით მათი მომზადება და შეჯიბრებაზე [გამოყვანა](#)
მეორე ტაიმში ლომიას [გამოყვანას](#) ვაპირებდი, გუშინ იგი ეროვნული ნაკრებიდან დაგვიბრუნეს
აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, მისი ნაკრებში [გამოყვანა](#) შეცდომაა

მნიშვნელობა - [ასპარეზობაში ჩართვა]



სურათი 2. თანამედროვე ქართული ენის კორპუსი - გეკო.

2. ის ისეთი სპეციალისტია, გუნდის კრიზისიდან [გამოყვანა](#) არ უნდა გაუჭირდეს. ცალკე აღებულ პარტიას არ ძალუძს ქვეყნის კრიზისიდან [გამოყვანა](#) საქართველოს [გამოყვანა](#) უმძიმესი კრიზისიდან

სხვანაირად წარმოუდგენელია ქვეყნის [გამოყვანა](#) არსებული უმძიმესი მდგომარეობიდან უნდა მოხდეს მცირე ბიზნესის მძიმე ვითარებიდან [გამოყვანა](#) მნიშვნელობა - [კრიზისის, სირთულის და მისთ. დაძლევაში, გადალახვაში ხელის შეწყობა; თავის დაღწევაში (კრიზისისთვის, სირთულისთვის და მისთ.)]

3. ამიტომ მის წინააღმდეგ ხალხის [გამოყვანა](#) დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში 600 ათასიანი არმიის [გამოყვანა](#) შეუძლია. რომ დასჭირდეს სამშობლოს, რამდენი კაცის [გამოყვანა](#) შეგიძლიათ 10 სახანძრო მანქანის [გამოყვანა](#) კი მხოლოდ იმ მიზეზით გახდა საჭირო, რომ ქუჩა საკმაოდ მჭიდროდ არის დასახლებული ...

მნიშვნელობა - [შეკრება, თავის მოყრა (ვინმეს წინააღმდეგ, ამა თუ იმ მიზნით)]

4. ტყუილად ვაძლევთ მაგათ მილიონებსო... გოგუაძის [გამოყვანა](#) იქნებოდა „რუსთაველი“-ო პირველი არხის ხელმძღვანელობას ჩემი ეთერში [გამოყვანა](#) აუკრძალოს

მნიშვნელობა - [ჩვენება, ეთერის დათმობა]

5. აფხაზეთიდან სამშვიდობო ძალების [გამოყვანა](#) მისი პირადი ინიციატივით

პანკისიდან ჩეჩენი დევნილების ეტაპობრივი [გამოყვანა](#) და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე განლაგება

დევნილების [გამოყვანა](#) შენობიდან ვაკე-საბურთალოს რაიონული პოლიციის მეშვეობით მოხერხდა.

საქართველოს დსთ-დან [გამოყვანა](#)

მოხდა მგზავრთა ევაკუაცია და მათი გვირაბებიდან [გამოყვანა](#)

მნიშვნელობა - [ტერიტორიის, ქვეყნის და სხვ. დატოვებინება]

6. ამ კულტურების ლაბორატორიულ პირობებში [გამოყვანა](#)

მნიშვნელობა - [გამოზრდა, კულტივირება]

7. მიმართვის ავტორის კომისიიდან [გამოყვანა](#)

ბავშვის სკოლიდან [გამოყვანა](#)

მნიშვნელობა - [რაიმესთვის თავის დანებებინება]

8. სოხუმის იზოლაციიდან სამი ქართველი პარტიზანის

[გამოყვანა](#) მანამდე ვერ მოხერხდებოდა, ვიდრე ამ პროცესში თავად არ ჩაერთვებოდა საჭიროა მოხდეს დაწესებულებათა ადმინისტრაციების დაქვემდებარებიდან

[გამოყვანა](#)

ქვეყნის [გამოყვანა](#) რუსეთის გავლენის სფეროდან

მნიშვნელობა - [განთავისუფლება]

ახალი სიტყვა-სტატია ქეგლისა და კორპუსის მასალის შეჯერებით:

გამოყვანა

1. შიგნიდან გარეთ წამოყვანა. ავტოფარებიდან მანქანის გამოყვანა.
2. 1) *ტერიტორიის, ქვეყნის და სხვ. დატოვებინება*. პანკისიდან ჩეჩენი დევნილების ეტაპობრივი [გამოყვანა](#). საქართველოს დსთ-დან [გამოყვანა](#). მგზავრთა ევაკუაცია და მათი გვირაბებიდან [გამოყვანა](#). ერაყიდან ჯარების გამოყვანა.
- 2) *რაიმესთვის თავის დანებებინება*. ბავშვის სკოლიდან [გამოყვანა](#). მიმართვის ავტორის კომისიიდან [გამოყვანა](#).
3. შეკრება, თავის მოყრა (*ვინმეს წინააღმდეგ, ამა თუ იმ მიზნით*). მის წინააღმდეგ ხალხის [გამოყვანა](#). 600 ათასიანი არმიის [გამოყვანა](#).
4. *კრიზისის, სირთულის და მისთ.* დაძლევაში, გადალახვაში ხელის შეწყობა; თავის დაღწევინება (*კრიზისისთვის, სირთულისთვის და მისთ.*).

საქართველოს [გამოყვანა](#) უმძიმესი კრიზისიდან. მცირე ბიზნესის მძიმე ვითარებიდან [გამოყვანა](#).

5. **ასპარეზობაში ჩართვა.** მოთამაშის მოედანზე [გამოყვანა](#). სპორტსმენების მომზადება და შეჯიბრებაზე [გამოყვანა](#).
6. **ამოხსნა, გამოანგარიშება.** ამოცანების გამოყვანა.
7. **გაყვანა, გაჭრა, გაკეთება, გამართვა, მოწყობა (იქიდან აქეთ).** სასმელი წყლის გამოყვანა. რუსთაველის გამზირიდან ბიბლიოთეკამდე გაზის მილების გამოყვანა.
8. **ჩვენება, ეთერის დათმობა.** მისი [გამოყვანა](#) „რუსთავეზე“. პირველი არხის ხელმძღვანელობას ჩემი ეთერში გამოყვანა აუკრძალეს.
9. **განთავისუფლება.** დაწესებულებათა ადმინისტრაციების დაქვემდებარებიდან გამოყვანა. ქვეყნის გამოყვანა რუსეთის გავლენის სფეროდან.
10. **გამოსახვა, გამოკვეთა.** სახეების (ჩუქურთმების) გამოყვანა (ქვაზე, ხეზე...).
11. **გამოზრდა, კულტივირება.** ამ კულტურების ლაბორატორიულ პირობებში გამოყვანა.
12. **გარკვეული წესით, ტექნოლოგიით დამზადება, გაკეთება (შაშხისა...).**
13. **გაწვრთნა, გამოზრდა, გაწაფვა; დასპეციალება.** ხელოსნად გამოყვანა. შვილის კაცად გამოყვანა უწმინდესი... ვალია მშობლებისა.

"All dictionaries are cultural in a broad sense of culture, i.e. the customs, arts, social institutions, and achievements of the particular nation, people, or other social group: they are part of the culture of the society in which they are produced. They are the mouthpieces of a society, texts in which it describes not only its language but also its culture and formulates its view of the world, its WELTANSCHANUUG. They express the knowledge, the beliefs, the values of the dominant groups of the society: "Dictionaries are a faithful reflection of the changing society that produces and consumes them". (Ilson)

წინამდებარე თავში შევეცადეთ წარმოგვეჩინა თუ რატომ უკავია განმარტებით ლექსიკონებს განსაკუთრებული ადგილი ნებისმიერი ერის სულიერ და კულტურულ საგანძურში, რატომ არის საჭირო საზოგადოების ინტელექტუალური და სულიერი "მომწიფება", ლიტერატურული ენის განვითარების მაღალი დონე, რათა ამ საზოგადოების წიაღში აღმოცენდეს ასეთი მასშტაბური ნაწარმოები – საკუთარი ერისა და ენის უკვდავსაყოფად.